

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>ფილოსოფია</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>ფილოსოფიის ბაკალავრი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: 240 კრედიტი - 180 კრედიტი სპეციალობის ძირითადი კურსები (155 კრედიტი ძირითადი სპეციალობის საგნები, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი/სპეციალობის არჩევითი საგანი; 15 კრედიტი სპეციალობის არჩევითი საგნები); 60 კრედიტი დამატებითი სპეციალობის ან არჩევითი სასწავლო კურსები;</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია: სტუდენტს მისცეს საბაზო განათლება ზოგად და სპეციალურ ფილოსოფიურ დისციპლინებში; გააცნოს ფუნდამენტური ცნებები და ფილოსოფიური პრობლემები. ხელი შეუწყოს ლიბერალური პრინციპების მატარებელი პიროვნების ფორმირებას, რომელსაც შეეძლება ფილოსოფიური იდეების, შეხედულებების, კონცეფციებისა და თეორიების გაცნობიერება; ხელი შეუწყოს მასში ლოგიკური და თავისუფალი აზროვნების, დიალოგის კულტურის, სწორი კულტურული ორიენტაციის, ეთიკური, ესთეტიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას.</p> <p>პროგრამა მოიცავს ისეთი ფილოსოფიური მიმართულებებსა და მიმდინარეობებს, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ თანამედროვე ინტელექტუალურ და კულტურულ ცხოვრებაში და ეხებიან ისეთ კონკრეტულ სფეროებს, როგორებიცაა პოლიტიკა, ხელოვნება, რელიგია, სამართალი, საზოგადოებრივი ურთიერთობები და სხვ. ფილოსოფიის მთავარი კომპეტენციაა კურსდამთავრებულისათვის კრიტიკული აზროვნების, შედარებითი ანალიზის, დისკუსიის, დებატების, კამათის და ა. შ. უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება</p>
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>დარგობრივი კომპეტენციები:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება: იცის: 1. ფილოსოფიის წარმოშობის წინაპირობები; ფილოსოფიური ცნებები და კატეგორიები; ფილოსოფიის კონკრეტული დარგები: სოციალური ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, კულტურის ფილოსოფია, ეთიკა, ესთეტიკა, ლოგიკა და ა. შ. ფილოსოფიის ისტორია, მისი პერიოდები და ძირითადი ტენდენციები; აცნობიერებს: ფილოსოფიის სპეციფიკურობას, ინტერკულტურული და ინტერდისციპლინარული მიდგომების აუცილებლობას; ფილოსოფიის მნიშვნელობას და მსოფლმხედველობრივ როლს ადამიანის ცხოვრებაში.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია ფილოსოფიის ზოგადი ცოდნის დემონსტრირება და ამ ცოდნის აუცილებლობის ჩვენება (სხვა სფეროებთან პარალელები);</p>

	<p>რთული და წინააღმდეგობრივი დებატებისას საკუთარი აზრის ზუსტად ჩამოყალიბება და ამის შესაბამისად მისი ადექვატური გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაში. სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეთა ტექსტებში გამოთქმული აზრების ინტერპრეტაცია და მისი მისადაგება თანამედროვეობისადმი;</p> <p>დასკვნის უნარი: ჩამოყალიბებული აქვს ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და არგუმენტირებულად წარმოჩენის უნარი; ანალიზისა და სინთეზის უნარი; კონკრეტულ სიტუაციათა, პრაქტიკულ შემთხვევათა დასაბუთებული ანალიზის, კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი;</p> <p>კომუნიკაციის უნარი: შეუძლია ფილოსოფიური ლიტერატურიდან შესაბამისი ინფორმაციის მოძიება, მისი ანალიზი და კრიტიკული შეფასება. ფილოსოფიურ პრობლემებზე ზეპირი და წერილობითი ნამუშევრების მომზადება და სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის გადაცემა ქართულ ენაზე.</p> <p>სწავლის უნარი: აქვს სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი; შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება და დროის ეფექტურად გამოყენება, გაცნობიერებული აქვს სწავლის შემდგომი გაგრძელების აუცილებლობა.</p> <p>ღირებულებები: შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ღირებულებითი (ეთიკური, ესთეტიკური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა) იერარქიის დადგენისა და ჩამოყალიბების პროცესში, ცნობიერების ერთიანი სტრუქტურის მსოფლმხედველობრივი (მითოსური, რელიგიური და ფილოსოფიური) სისტემის ჩამოყალიბებაში, სოციალური პრობლემებზე დისკუსიებისა და დებატების ეფექტურად წარმართვაში.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი: მიხეილ მახარაძე; ტ: 577 454531; ასოც. პროფ. ვარდო ბერიძე; 577 145426;</p>